ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№2(118)
თებერვალი
2024 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

პარლამენტმა საქართველოს მთავრობას პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით ნდობა გამოუცხადა

2024 წლის 8 თებერვალს პარლამენტმა, პლენარულ სხდომაზე, 84 ხმით 10-ის წინააღმდეგ, საქართველოს მთავრობას პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით და სამთავრობო პროგრამას „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ ნდობა გამოუცხადა.

საქართველოს მთავრობაში განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის თანამდებობა დაიკავა გიორგი ამილახვარმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის – ოთარ შამუგიამ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის – ლევან დავითაშვილმა, თავდაცვის მინისტრის – ირაკლი ჩიქოვანმა, იუსტიციის მინისტრის – რატი ბრეგაძემ, კულტურისა და სპორტის მინისტრის – თეა წულუკიანმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის – ზურაბ აზარაშვილმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის – ირაკლი ქარსელაძემ, საგარეო საქმეთა მინისტრის – ილია დარჩიაშვილმა, ფინანსთა მინისტრის – ლაშა ხუციშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრის – ვახტანგ გომელაურმა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის – თეა ახვლედიანმა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

„მისი სახელი ქართველი კაცის ღირსებისა და შეუპოვრობის სიმბოლოდ იქცა“

ჩუსეთის საოჯახაესიო ჩეჭიმის მიეჩ ეჩჩიე ტატენაშვილის მეხვეიერობიდან 6 ნელი გავიდა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით

7

150 000-ზე მეტ პენსიონერს სესხის პროცენტი შეუმცირდება

ახალგაზრდებისთვის ანაზღაურებადი სტაჟირების შესაძლებლობის მინიჭების შესახებ კანონის აღსრულება საპილოტე რეჟიმში წელსვე დაიწყება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე პირველი ვიზიტით ბრიუსელს ეწვია

სამთავრობო დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-8 სხდომაში



ციალა ზანგურაშვილი: „ჩემი ცხოვრება მხოლოდ სიკეთეს ემსახურებოდა“

5

ახალგორელებმა საქართველოს პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს

პარლამენტმა საქართველოს მთავრობას პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით ნდობა გამოუცხადა

პირველი გვერდიდან

„პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის რანგში საქართველოს პარლამენტის წინაშე წარდგომა ჩემთვის საკმაოდ ემოციურია. თითქმის, 8 წლის განმავლობაში ვიყავი პარლამენტის წევრი და დღეს ვტოვებ პარლამენტის შემადგენლობას. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩემი საპარლამენტო წარსულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის, როგორც წამყვანი დემოკრატიული კონსტიტუციური ინსტიტუტის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა და დამოკიდებულება აუცილებლად გამყვება მთავრობის მეთაურის თანამდებობაზე საქმიანობის პერიოდში. მადლობა მინდა გადაგიხადოთ ჩვენი საპარლამენტო გუნდის თითოეულ წევრს, რომელთან ერთადაც ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გავაკეთეთ“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ირაკლი კობახიძემ სამთავრობო პროგრამაზე საუბრისას აღნიშნა, რომ მათ მიერ წარდგენილი სამთავრობო პროგრამა ეფუძნება „ქართული ოცნების“ 2020 წლის საარჩევნო პროგრამას, რომელიც თავის დროზე მისი, როგორც საარჩევნო შტაბის უფროსის ხელმძღვანელობით დაიწერა.

„იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში იმართება საპარლამენტო არჩევნები, რის შემდეგაც საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობას ხელახლა უნდა გამოუცხადოს ნდობა „ქართული ოცნების“ ახალი საარჩევნო პროგრამის საფუძველზე, ბუნებრივია, ჩვენ მიერ ახლად წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამა მხოლოდ 10-თვიან პერიოდს მოიცავს. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტი, არსებითად „ქართული ოცნების“ 2020 წლის საარჩევნო პროგრამითა და 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების ბოლომდე მიყვანას ითვალისწინებს, რომელიც უკვე ბიუჯეტის დონეზეა გაწერილი. იმავდროულად, დაიწყება მუშაობა „ქართული ოცნების“ ახალ საარჩევნო პროგრამაზე, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ 2025-2028 წლების სამთავრობო პროგრამას დაედება საფუძვლად“, - აღნიშნა მან.

ირაკლი კობახიძემ ასევე განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყნის ორი უმთავრესი ეროვნული ამოცანაა, მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სიღარიბის სრულად დაძლევა.

„დღეს საქართველოს 20% ოკუპირებულია და საქართველოს მოსახლეობის 15% სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ვიყოთ კმაყოფილი საკუთარი საქმიანობით და თვითკმაყოფილი საკუთარი თავით, რაც ამ ორ პროცენტულ მაჩვენებელს გავანულებთ. 0% ოკუპაცია და 0% სიღარიბე - ეს არის ქართული ოცნება და ასეთია ჩვენი ოცნების საქართველო. საქართველოს მთავრობის საქმიანობა როგორც 2024 წელს, ისე 2025-2028 წლებში თავიდან ბოლომდე ამ ოცნების ახდენისკენ და ამ ამოცანების შესრულებისკენ იქნება მიმართული“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა. როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, გაგრძელდება არაღიარების პოლიტიკა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, ისევე როგორც შერიგების პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

ევროსაბჭოს დელეგაცია წეროვანში

წეროვნის დევნილთა დასახლებაში ევროსაბჭოს დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი პოლიტიკურ საკითხთა და საგარეო ურთიერთობების დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილე კრისტიან ურსე და ამავე დირექტორატის პოლიტიკური მრჩეველი მარიან იანსენსი იმყოფებოდნენ.

შეხვედრა წეროვნის №3 საჯარო სკოლაში გაიმართა. დელეგაციას მასპინძლობას უწევდა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი და მოადგილე ბონდო ყველაშვილი.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის სახლები, ასევე გაეცვნენ დევნილთა დასახლებაში არსებულ ვითარებას.

დელეგაცია საქართველოში იმყოფება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 29-ე კონსოლიდირებული ანგარიშის "კონფლიქტი საქართველოში" მოსამზადებლად. ეს ანგარიში აღწერს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობას.

25 თებერვალი – საბჭოთა ოკუპაციის დღე

25 თებერვალს საქართველოს ადმინისტრაციულ შენობებსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების შენობებზე საქართველოს დროშები დაეშვა.

სახელმწიფო დროშა დაეშვა ახალგორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაზეც.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით კოჯორში იუნკერთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

„25 თებერვალს აღინიშნა საბჭოთა ოკუპაციის დღე, ეს დღე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ რამდენად დიდია ქვეყნის დამოუკიდებლობის ფასი“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა არის თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა.

„საუკუნის წინ რუსულ არმიას საქართველოში შემოუძღვნენ ეთნიკურად ქართველი, მაგრამ უსამშობლო ადამიანები, ბოლშევიკები, რომელთათვისაც უცხო იყო სამშობლოს ცნება. ეს ყველაფერი შეგვახსენებს იმას, თუ რამდენად დიდი სიფრთხილე გვმართებს ასეთი ადამიანების მიმართ, რომელთათვისაც ეროვნული თუ სხვაგვარი იდენტობის გარეშე ცხოვრება ცხოვრების უმთავრეს პრინციპად არის ქცეული. საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა არის თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა”, - განაცხადა პრემიერმა.

103 წლის წინ, 11 თებერვალს, ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემოიჭრა.

25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძემ ვლადიმერ ლენინს დეპეშით აცნობა: „თბილისის თავზე საბჭოთა დროშა ფრიალებს“. თბილისი დაეცა, რასაც მოჰყვა 70-წლიანი ოკუპაცია.

საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა ათწლეულების შემდეგ, 1989 წლის 9 აპრილს, შეძლო. 25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღედ 2010 წელს გამოცხადდა. ამ დღეს ქვეყანა იხსენებს საოკუპაციო რეჟიმის პოლიტიკური რეპრესიების ათიათასობით მსხვერპლს.

6 წელი რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობიდან

„მისი სახელი ქართველი კაცის ღირსებისა და შეუპოვრობის სიმბოლოდ იქცა“

22 თებერვალს ექვსი წელი შესრულდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ახალგორელი არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობიდან.

თარიღთან დაკავშირებით, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე იმყოფებოდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი, მოადგილე ბონდო ყველაშვილი, მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, მოადგილეები, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი, მათ ტატუნაშვილის საფლავი გვირგვინით შეამკეს და მისი ოჯახის წევრებს კიდევ ერთხელ მიუსამძიმრეს.

„არჩილ ტატუნაშვილმა, სამშობლოს ღირსების დასაცავად, საკუთარი თავი გაწირა და ამით გვიჩვენა სიმტკიცის, თავდადების, პატრიოტიზმის საოცარი მაგალითი, რომელზეც არაერთი თაობა აღიზრდება. პატივს მივაგებ ჩვენი დროის გმირის ნათელ ხსოვნას, ქედს ვიხრი მის წინაშე და მადლობას ვუხდი მის მშობლებს ასეთი საამაყო და ღირსეული შვილის აღზრდისათვის.“- განაცხადა დავით ნოზაძემ.

არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას პატივი ასევე მიაგეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და თავდაცვის ძალების წარმომადგენლებმა.

„მისი სახელი ქართველი კაცის ღირსებისა და შეუპოვრობის სიმბოლოდ იქცა ყველა ჩვენგანისა და მომავალი თაობებისათვის. ჩვენს საზოგადოებასთან ერთად კიდევ ერთხელ მივაგებ პატივს ჩვენი დროის გმირის ნათელ ხსოვნას.

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა არჩილ ტატუნაშვილის სიკვდილში დამნაშავე ყველა პირმა მართლმსაჯულების წინაშე აგოს პასუხი“. – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

სოლიდარობა უკრაინელ ხალხს!

რუსეთ-უკრაინის ომის ორ წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრა ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ გამოუცხადა სოლიდარობა უკრაინელ ხალხს.

„კიდევ ერთხელ ვუცხადებ სოლიდარობას ჩვენს მეგობარ უკრაინელ ხალხს, რომლებიც რუსეთის სამხედრო აგრესიისა და უდიდესი უსამართლობის მსხვერპლად იქცნენ. დაიღუპა ძალიან ბევრი უკრაინელი სამხედრო და სამოქალაქო პირი, მათ შორის - ასობით ბავშვი. დევნილად ან ლტოლვილად იქცა 10 მილიონზე მეტი უკრაინელი, რომელთა უმრავლესობა ქალები და ბავშვები არიან. განადგურდა უკრაინის ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, დღეს ოკუპაციის ქვეშაა ორ-ნახევარჯერ მეტი ტერიტორია, ვიდრე რუსეთს ომის დაწყებამდე ჰქონდა ოკუპირებული. ეს ყველაფერი შეგვახსენებს, თუ რამდენად დიდია მშვიდობის ფასი. ჩვენს მეგობარ უკრაინელ ხალხს კიდევ ერთხელ ვუსურვებ მშვიდობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას”, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე პირველი ვიზიტით ბრიუსელს ეწვია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე პირველი ვიზიტით ბრიუსელში იმყოფებოდა სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი; ვიცე-პრემიერი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი; საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი.

სამთავრობო დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-8 სხდომაში, რომელიც ბრიუსელში, ევროპულ საბჭოში გაიმართა.

სხდომაზე ევროკავშირის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბორელი.

ჯოზეფ ბორელმა ირაკლი კობახიძეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესზე ისაუბრეს. ირაკლი კობახიძემ ხაზი გაუსვა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ კანდიდატის სტატუსის მინიჭება საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეული ინტენსიური ძალისხმევისა და გადადგმული ნაბიჯების შედეგია. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს აქტიურ მუშაობას ევროკავშირში ინტეგრაციის შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად და საქართველოს მთავრობა ამ მიმართულებით მუშაობას განაგრძობს იმისთვის, რომ გაიხსნას ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები. პრემიერ-მინისტრმა ამ მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გადადგმულ ნაბიჯებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ხაზი გაუსვეს რუსეთის მხრიდან 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების აუცილებლობას. პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირის მხარეს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ღირებული ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი კობახიძემ გასულ წელს საქართველოში ჯოზეფ ბორელის ვიზიტისა და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მისი შემდგომი მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მთავრობის მეთაურმა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს თანადგომისთვის, ევროკავშირსა და საქართველოს შორის მჭიდრო თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

...

2024 წლის 20 თებერვალს, ქ. ბრიუსელში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების საბჭოს მე-8 სხდომა გაიმართა.

ასოცირების საბჭო მიესალმა ევროპული საბჭოს ისტორიულ გადაწყვეტილებას საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების თაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წლის 8 ნოემბრის ევროკომისიის რეკომენდაციით გათვალისწინებული ცხრა ნაბიჯი განხორციელდება. ამ გადაწყვეტილებამ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობა ახალ სტრატეგიულ დონეზე აიყვანა. ევროკავშირმა მხედველობაში მიიღო, რომ საქართველოს მთავრობამ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებამდე მიიღო 9 ნაბიჯის შესრულების სამოქმედო გეგმა და წაახალისა საქართველო, შემდგომი პროგრესი განახორციელოს რეფორმების მიმართულებით. საბჭომ ხაზი გაუსვა ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პირობების შესრულების მნიშვნელობას არსებითი და შეუქცევადი რეფორმების განხორციელების გზით, რომლებიც ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით იქნება მომზადებული და გატარებული. ევროკავშირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს პროგრესი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე დამოკიდებული იქნება მის დამსახურებაზე გაწევრიანების კრიტერიუმების შესრულების კუთხით.

ასოცირების საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროკავშირის ერთგულება ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გაძლიერების კუთხით, ხაზი გაუსვა რა ასოცირების შეთანხმების პოტენციალის სრულად გამოყენების მნიშვნელობას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით, და 2021-2027 წწ. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის ეფექტიან განხორციელებას. ასოცირების საბჭომ აღნიშნა, რომ ასოცირების შეთანხმებისა და მისი კომპონენტის - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ეფექტიანი განხორციელება, რომელიც რეგულაციებთან დაახლოების ფართო პროცესსა და მასთან დაკავშირებულ აუცილებელ რეფორმებს მოიცავს, ხელშემწყობ პირობებს ქმნის ევროკავშირთან გაძლიერებული ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისთვის, რასაც შედეგად ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს შემდგომი ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაცია მოჰყვება.

ასოცირების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელმა, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბორელმა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

გელა შერმადინი წილკნისა და ფრეზეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს ესტუმრა

ახალგორის მუნიციპალტეტის გამგებელი გელა შერმადინი ყურადღებით ადევნებს თვალს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სათანადო დონეზე ფუნქციონირებას და ამ მიზნით, პერიოდულად სტუმრობს მათ. ამჯერად იგი წილკნისა და ფრეზეთის სააღმზრდელო დაწესებულებებს ეწვია და ბაგა-ბაღების გაერთიანების უფროსთან ნუგზარ პაპუნაშვილთან ერთად დაესწრო სასწავლო პროცესს. ამასთან, აღმზრდელი მასწავლებლებისგან და მენეჯერებისგან მოისმინა ყველა ის პრიორიტეტული საკითხი, რაც მოსაგვარებელია ბაღების უკეთესი სამუშაო პროცესის წარმართვისთვის.

ღვაწლმოსილი

ჩემი ცხოვრება მხოლოდ სიკეთეს ემსახურებოდა

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით, ინტელექტით, საქმისადმი დამოკიდებულებით, პიროვნული თბილი, კომუნიკაბელური ხასიათით საზოგადოების გულწრფელ სიყვარულს და აღმატებულ პატივისცემას იმსახურებენ...

ასეთია ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმარი ქალბატონი ციალა ზანგურაშვილი. მან მთელი ცხოვრება სკოლას, მოსწავლეთა გულწრფელ სიყვარულს მიუძღვნა...

„ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“ (ეგზიუპერი) და ჩვენი საუბარიც დღევანდელისაგან ძალზე განსხვავებული მისი ბავშვობიდან დავიწყეთ...

– ჩემი ბავშობა დიდი სამამულო ომის წლებს დაემთხვა... სამი დედმამიშვილი ვიზრდებოდით, ლიდა – ჩემი და – უფროსი იყო, ძმა, რობიზონი, – ნაბოლარა... 4 წლის ვიყავი, როდესაც მამაჩემი ნიკოლოზ ზანგურაშვილი ქერჩიდან დაბრუნდა მძიმე ავადმყოფი... მე სიზმარივით მახსოვს და მონაყოლიდანაც დამამახსოვრდა ალბათ, ორშაბათი დღე იყო და... რამდენიმე დღის შემდეგ, ხუთშაბათს გარდაიცვალა. ჩვენ ზანგურაანებში ვცხვრობდით, – სოფელ იკოთში იყო ასეთი უბანი, სადაც მხოლოდ ზანგურაშვილები ვცხოვრობდით... სახლიდან ურმით წამოუყვანიათ მამა ახალგორის საავადმყოფოში, მაგრამ გზაში დაღუპულა... დავრჩით ობლები – 2, 4 და 6 წლისები.

კარგად მახსოვს, დედა, რომელიც იკოთის კოლმეურნეობის წევრი იყო, დღედაღამ შრომობდა. ჩვენთან ბაბო, გარდაცვლილი მამის დედაც ცხოვრობდა, რომელსაც ობლები ძალიან ვუყვარდით (ალბათ ვეცოდებოდით კიდეც).

ბავშვობა სიღარიბეში გავატარე, მაგრამ მაშინ ყველას უჭირდა... სიღარიბე ჩვეულებრივი მდგომარეობა იყო. ზანგურაანებში მამაკაცი აღარ ცხოვრობდა, ყველანი ომში იყვნენ, რომელთა დიდი ნაწილი ვეღარ დაბრუნდა, ან დაინვალიდებული დაბრუნდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

ბაღები გვქონდა, ვაშლს ესხა ხოლმე. ბებიაჩემი ვაჟკაცივით შრომობდა, ურმით მიჰქონდა ვაშლი ტირიფონის ველზე და ხორბალზე ცვლიდა, ასე გაგვქონდა თავი...

– მაგრამ მაინც კარგად სწავლობდით...

– იკოთის საშუალო სკოლა დავამთავრე ოქროს მედალზე. მაშინ ჩვენი სკოლა ერისთავების სასახლეში ფუნქციონირებდა...

დედაჩემის ძმამ, ამირან და ვალოდია ბალაშვილების მამამ, ორდა ბალაშვილმა, რომელიც მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მირჩია, ისტორიის ფაკულტეტზე ჩამებარებინა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმობა მინდოდა, დავუჯერე ბიძაჩემს. მაშინ ერთადერთი უნივერსიტეტი იყო თბილისში (ახლანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის), რომელიც სტალინის სახელობისა იყო და შევიტანე საბუთები ისტორიის ფაკულტეტზე.

სტუდენტობისასაც კარგად ვსწავლობდი. სტიპენდიას ვიღებდი 52 მანეთს, როგორც წარჩინებული სტუდენტი. ჩვეულებრივი სტუდენტები 22 მანეთს იღებდნენ სტიპენდიას.

– და სწავლა უფასო იყო?

– არა, სხვათა შორის. წლიური გადასახადი იყო 40 მანეთი. ომში გარდაცვლილების შვილებს ამ გადასახადისაგან ათავისუფლებდნენ. მამა რადგან სამშობლოში დაბრუნებული გარდაიცვალა, მე უნდა გადამეხადა. არადა, მამა იბრძოდა ქერჩის ნახევარკუნძულზე, სადაც II მსოფლიო ომის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა. დღეს ამ მებრძოლთა უკვდავსაყოფად თბილისში, ვაკის პარკში მარადიული ცეცხლი ანთია...

– სტალინი ახსენეთ და, მინდა გკითხოთ 1956 წლის 9 მარტის მიტინგის შესახებ, სადაც უნივერსიტეტი ძალიან აქტიურად მონაწილეობდა...

– კი, ასე იყო. როდესაც სტალინის კულტის კრიტიკა დაიწყო, მე სტუდენტი ვიყავი. უნივერსიტეტში სწავლის პროცესი აღარ მიმდინარეობდა. ყველანი მიტინგებზე დავდიოდით. იმ ღამესაც იქ გახლდით, როცა 151 მომიტინგე დახვრიტეს... ეს მძიმე მოგონებები დიდხანს მედგა თვალწინ და ახლაც მაფორიაქებს...

– სიყვარული, ოჯახი...

– უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, ახალგორში, ყანჩავეთის 9-კლასიან სკოლაში დავიწყე მუშაობა ჯერ რიგით მასწავლებლად, შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგედ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჩემი ცხოვრება მხოლოდ სიკეთეს ემსახურებოდა

მე-5 გვერდიდან

ამავე სკოლაში მუშაობდა ჩემი მომავალი მეუღლე როლანდ ოვაშვილი. აქ გავიცანით ერთმანეთი და სიყვარულით შევქმენით ოჯახი. უფროსი შვილი, მანანა, 3 წლის მყავდა, მეორე შვილი დევი კი თვეების იყო, როცა მეუღლე ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში გაგზავნეს სასწავლებლად... მე ყანჩავეთში ველარ ვიმუშავებდი და განათლების განყოფილებაში როცა მივედი, ხელმძღვანელი ვასილ ტიგიევი იყო, მან გადმომიყვანა ახალგორის საშუალო სკოლაში. მაშინ ერთადერთი სკოლა იყო დაბა ახალგორში და ამავე სკოლაში იყო რუსული სექტორიც, შემდეგ რუსულ სკოლად გადაკეთდა, ხოლო პირველი სკოლა აშენდა ახალი, სადაც ვმუშაობდი 2008 წლის ომამდე ისტორიის მასწავლებლად...

– წეროვანში?

– როგორც ყველა ახალგორელისათვის, ეს ომი ჩემთვისაც უმძიმესი იყო... წეროვანში დავსახლდით... როცა სკოლა გაიხსნა, მეც მიმიწვიეს სამუშაოდ.

– გამოვთვალოთ... სულ რამდენ წელიწადს მუშაობდით სკოლაში?

– 60 წელი...

– ქალები ყოველთვის ვმალავთ ასაკს, ან ასე გვაბრალებენ?

– არასდროს დამიმალია ასაკი (იცინის), 87 წლის ვარ...

– და ცხოვრობთ გამრავლებული შვილებსა და შვილიშვილებში... რესპონდენტებს ხშირად ეკითხებიან და მეც გკითხავთ: თავიდან რომ იწყებდეთ ცხოვრებას, რას შეცვლიდით?

– პირად ცხოვრებაში არაფერს...

– ხშირად ამბობენ, – სიბერის წლები იმიტომაც არის არასასიამოვნო, რომ არავინ არაფერს აღარ გვეკითხება, ვართ უფუნქციოდ, ჩვენს აზრს და დაგროვილ გამოცდილებას არავინ იზიარებს... თქვენკენ როგორ არის ამ მხრივ საქმე?..

– დრო იცვლება, გამოწვევები, მოთხოვნები, ხედვები იცვლება, ასეც უნდა იყოს, მაგრამ უფუნქციობა კი მართლა ძნელია... რამდენი წლისაც გინდა იყოს ადამიანი, გული ხომ არ ბერდება. მაინც კარგია, რამე საქმეს რომ აკეთებ... თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას, მაინც მასწავლებლობა მენდომებოდა და ასევე მენდომებოდა, რომ ისევ ჩემი შვილები – მანანა, დევი და ნინო მყავდეს, რომლებმაც იციან ჩემი რჩევის მოსმენა, ჩემი სიტყვის და პირადად ჩემი პატივისცემა, ყურადღება, მზრუნველობა. არ მაგონდება, რომ როდისმე ჩემთან ხმაურით ესაუბროთ...

– თქვენ თვითონ ბრძანდებით ძალიან მშვიდი, სათნო, მოთმინებით აღჭურვილი... თქვენ ჩემი სამივე შვილის მასწავლებელი ბრძანდებოდით და არავის გაახსენდება თქვენი ხმამაღალი საუბარი ან მოსწავლისათვის შეურაცხოფის მიყენება...

– ისე ვიმუშავე ათეული წლები, ბავშვისთვის, თუნდაც არ სცოდნოდა გაკვეთილი, ან ცელქობაში შემემჩნია, არ დამიყვირია, შე ასეთ-ისეთოო (ზოგიერთმა რომ იცის ხოლმე), არ მითქვამს...

– ხუთიანების წერა გიმძიმდათ ან ორიანების გეიოლებოდათ?

– ორიანების წერაა მძიმე, თორემ ხუთიანების წერა მეც მახარებდა მათთან ერთად...

– დავუბრუნდეთ შვილებს... სამივე საზოგადოების ღირსეული წევრები არიან და ეს მთელმა ახალგორმა იცის, რა თქმა უნდა, ჩვენი გაზეთის მკითხველებმაც...

შვილიშვილების სახელები...

– მანანას ერთი ჰყავს – ელენე. მერე დევის ხუთი – სოფო, დათო, მარიამი, დემეტრე, თინათინი... ნინოსაც ხუთი: ანა, თეკლა, რატი, ელისაბედი, სანდრო... შვილთაშვილებიც მყავს... მათ სიყვარულში ლამაზად გადის წლები... გული მხოლოდ იმაზე მწყდება, ჩემი მეუღლე რომ გამოაკლდა ჩვენს დიდ ოჯახს, რომელსაც დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენებენ შვილიშვილები...

– სკოლიდან რამე კურიოზი გაიხსენეთ...

– თამთა ტიტველაშვილი გამოსაშვები გამოცდის წინა დღეებში მეუბნება (ჩემი შვილის თანაკლასელი იყო), – მასწ. მარტო მე-14 ბილეთი ვიცი და რა ბილეთიც შემხვდება, მაინც 14-ს მოვყვებიო... გამიკვირდა, – რას ამბობ, როგორ შეიძლება, დაჯექი, სხვებიც ისწავლე-მეთქი. გამოცდაზე გამოვიდა, აიღო ბილეთი და აღფრთოვანებულმა მითხრა: 14! ლამის არ დავუჯერე, მართლა 14 აიღო... ისე ჩაარაკრაკა, ხუთიანი დაუწერა კომისიამ. აღაფერი მითქვამს... ძალიან ნიჭიერი მოსწავლე იყო გია გოლოევი. არ მახსოვს, რამე საკითხზე მარტო წიგნიდან კი არა, სხვა ლიტერატურიდანაც არ მოეყოლა გაკვეთილი, ან რამე, თუნდაც წვრილმანი არ სცოდნოდა. გამოცდაზე, არ ვიცი, რატომ, ღელავდა თუ რა მოხდა და ერთ საკითხზე წაიბორძიკა... რა თქმა უნდა, მაინც 5 დავუწერე, კომისიასაც ავუხსენი, თან გულში მეცინებოდა თამთას 14-ზე...

– განათლების მინისტრი რომ იყოთ, რას შეცვლიდიდთ სკოლაში?..

– პირველ რიგში, სახელმძღვანელოებს... ისტორიას ვასწავლიდი... ისტორია ხომ ისედაც ზოგჯერ ყალბდება, – მაგალითად, რუსეთისაგან საქართველოს ანექსიას (ახლა თებერვალია და მახსენდება გულისტკენით), ვასწავლიდით, როგორც საქართველოს გასაბჭოებას. კოჯრის ამბები, იუნკრების თავდადება სულ არ იყო შესული საბჭოთა სახელმძღვანელოში, სხვაც ბევრი რამ, რა თქმა უნდა. მაგრამ ეს წარსულია და ველაფერს ვიზამთ. როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, 1991 წლიდან არაჩეულებრივი სახლემძღვანელოები შეიქმნა, ახლა ისევ შეიცვალა. მაგალითად, დავით აღმაშენებელზე თუ ლიტერატურაც არ წაიკითხა ბავშვმა, მყარ ცოდნას ვერ მიიღებს. აბზაც-აბზაც ისწავლება მისი ბრძოლები საქართველოს გაერთიანებისათვის, მისი გატარებული რეფორმები... ერთ სახელმძღვანე-

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით

150 000-ზე მეტ პენსიონერს სესხის პროცენტი შეუმცირდება

150 000-ზე მეტ პენსიონერს სესხის პროცენტი შეუმცირდება – ეს გადაწყვეტილება მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნათია თურნავას და „ლიბერთი ბანკის" გენერალურ დირექტორს ბექა გოგიჩაიშვილს შეხვდა.

ამ გადაწყვეტილებით, 150 000-ზე მეტ პენსიონერს, რომლებმაც სესხი აიღეს 2023 წლამდე, სესხის პროცენტი შეუმცირდებათ და გაუტოლდება იმ პროცენტს, რომელიც დაწესებულია 2023 წლიდან.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აღსრულების ნაწილსა და კონკრეტულ დეტალებზე „ლიბერთი ბანკი" ეროვნულ ბანკთან ერთად გააგრძელებს მუშაობას.

საკითხის განხილვისას მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია დროულად დაიწყოს შემდეგი ეტაპი და პენსიონერებმა განახლებული პირობებით შეძლონ სარგებლობა.

ახალგაზრდებისთვის ანაზღაურებადი სტაჟირების შესაძლებლობის მინიჭების შესახებ კანონის აღსრულება საპილოტე რეჟიმში წელსვე დაიწყება

„პარლამენტმა შარშან მიიღო კანონი ახალგაზრდებისთვის ანაზღაურებადი სტაჟირების შესაძლებლობის მინიჭების შესახებ. ეს კანონი საჭიროებს ეფექტიან აღსრულებას და მინდა გაგაცნოთ ჩემი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კანონის აღსრულება საპილოტე რეჟიმში წელსვე დაიწყება. წელს უნდა უზრუნველვყოთ უნივერსიტეტების სულ მცირე 2-3 ათასი კურსდამთავრებულის სულ მცირე 4-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების გავლა სახელმწიფო სტრუქტურებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე ახალგაზრდებს უნდა მივცეთ საშუალება მუნიციპალურ და კერძო სტრუქტურებში გაიარონ ანაზღაურებადი სტაჟირება..." - განაცხადა მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

ლოში საქართველო აფხაზეთის საზღვრად მოიხსენიება... ეს არ შეიძლება... წლების მანძილზე მასწავლებლის დაბალი ხელფასები იყო პრობლემა, ახლა არა უშავს, ხელფასები გაიზარდა, მაგრამ, მე თუ ჩემს სუბიექტურ აზრს გამოვხატავ, ნურავის ეუცხოვება... ბავშვის უფლებები მასწავლებლის უფლებებზე მეტად არის გაზრდილი... კი, ნამდვილად კარგია, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, თავისუფალი და დამოუკიდებელი ბავშვის აღზრდის თავისებურებები გაითვალისწინოს მასწავლებელმა, მაგრამ ასეთი?

– თქვენი ცხოვრების მთავარი შტრიხი...

– როგორც გითხარით, ბავშვობა მძიმე მქონდა, სიღარიბეში, ობლობაში გავიზარდე, დედას და ბებიას ვეხმარებოდი, ფიზიკურადაც ვშრომობდით მე და ჩემი უმცროსი ძმა. უფროს დას, ლიდას, რომელსაც ყველა იცნობდა ახალგორში, როგორც პროფესიონალ მედდას, სიკეთით სავსეს, გაჭირვებულს რომ თავის გულსაც მისცემდა, ეგეთი იყო, მაგრამ ფიზიკური ნაკლის გამო არ შეეძლო რთული საქმეების გაკეთება. მე და ჩემი უმცროსი ძმა ტყეშიც დავდიოდით შეშაზე და მინდორშიც ვმუშობდით... სტუდენტობა მაინც ხალისიანი იყო, კარგი მეგობრები მყავდა, აქამდე რომ შემოგვრჩა ოჯახებით მეგობრობა, ომის შემდგომ პერიოდში ყველას უჭირდა და შეჩვეულებივით თითქოს არაფრად ვაგდებდით... მდიდარი არც არასდროს ვყოფილვართ, არც მაშინ, როცა ოჯახი მქონდა, ალბათ არც გვიზიდავდა, ჩემთვის და ჩემი მეუღლისათვის პრიორიტეტი განათლება და შვილების აღზრდა იყო წესიერ, სამართლიან და განათლებულ ადამიანებად... მადლობა უფალს, ეს შევძელით. დედამთილთან, მამამთილთან და მაზლთან ერთდ ვცხოვრობდი... პატარა სახლი გვქონდა ახალგორში, მაგრამ სიხარულით, სიყვარულით, გაგების ატმოსფეროთი... სულ ვმუშაობდი მასწავლებლად, როგორც უკვე ვთქვი, არც კოლეგებისთვის და არც მოსწავლეებისთვის არასდროს გამაღიზიანებელი სიტყვა არ მითქვამს. განა მინდოდა და ვითმენდი. არა, ალბათ ასეთი ვიყავი ბუნებით... არც შვილიშვილებს ვუბრაზდები, დასჯაზე ზედმეტია ლაპარაკი და არ ვიცი, ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების სტილის გამოა თუ ილბალი (იცინის), გარშემომყოფნიც ასე მექცევიან... რწმენაშიც გვიან შევედი, როგორც ათეისტურ ეპოქაში გაზრდილი. ჩემი შვილები ღრმად მორწმუნეები არიან და მიხარია...

– ანუ თქვენი ცხოვრების მთავრი შტრიხი სიკეთე, მოთმინება და სიმშვიდეა...

– ასე გამოდის... ადამიანში ყველაზე მეტად თავმდაბლობას ვაფასებ და კიდევ: ისე არაფერი უხდება ადამიანს, როგორც განათლება, თავაზიანობა, შინაგანი კულტურა...

– და ბოლოს. რამდენიმე დღის შემდეგ დედის დღე აღინიშნება. გილოცავთ ბედნიერ დედას...

– და ბოლოს, მეც მინდა გითხრათ, რომ გაზეთი „ახალგორი" ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, იცით, რატომაც (*მეუღლე როლანდ ოვაშვილი წლების მანძილზე ამ გაზეთის რედაქტორი იყო.* ***რედ.***) და თავმდაბლობა იმიტომ ვახსენე, არ მიყვარს ადამიანებს რომ ძალიან აქებენ, ამით მე უხერხულობას ვგრძნობ... ჩემი ცხოვრება მხოლოდ სიკეთეს ემსახურებოდა... და თუ იმ მრავალ თაობას ვახსოვარ, ან ჩემი ერთი გაკვეთილიც ახსოვს, მე თავს ბედნიერად ჩავთვლი... ჩემი ნამოწაფრები დედებიც არიან და უკვე ბებიებიც. მათ მივულოცავ დედის დღეს, გაზაფხულის დადგომას. ასევე მივულოცავ ჩემს კოლეგებს – წეროვნის საჯარო სკოლის მასწავლებლებს, თქვენ და გაზეთის ყველა მკითხველს. მადლობა.

ჩემი ცხოვრების მთავარი შტრიხი მოვალეობის გრძნობის უზენაესობაა

არ არსებობს, ახალგორელს შევხვდე წლების გასვლის შემდეგ და გულთბილად მოკითხვის შემდეგ საუბარი 2008 წლის ომისკენ არ განვითარდეს... მართლა ჩვენს გულზე, ახალგორელების გულზე გადაიარა ამ ომმა. აგვყარა სახლებიდან, დევნილებად გვაქცია, დაგვატოვებინა ყველაფერი, სახლი, ეზო-კარი, მოგონებები... ბავშვობა და ახალგაზრდობაც თითქოს იქ დარჩა, რაც ძვირფასი და განუმეორებელი იყო თითოეულისათვის, რაც ახლაც სევდისფერია...

დევნილთა დასახლებებში თითქოს უფრო ახლო-ახლო ვცხოვრობთ, თითქოს ტკივილმა უფრო დაგვაახლოვა, მაგრამ ის ურთიერთობა აღარ გვაქვს, ახალგორული რომ ჰქვია, მით უმეტეს რომ ბევრი, ძალიან ბევრი, დასახლებებში კი არა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულები ვცხოვრობთ... ბავშვები გაიზარდნენ, ახალგაზრდები დაქალდნენ, დავაჟკაცდნენ, წარმატებულები გახდნენ, ჩვენდა საამაყოდ...

ცხოვრება გრძელდება...

...

მიკროავტობუსით ვმგზავრობდი წეროვნიდან თბილისისაკენ... ჩემ წინ ახალგაზრდა ახალგორელი ცოლ-ქმარი იჯდა, – მათი ცოტა ხმამაღალი საუბრიდან მივხვდი...

– ხო გეუბნებოდი, ნუ გეშინია-მეთქი, არ მიჯერებდი და აჰაანდე... – „მოუქცია“ ახალგორულად.

სხვათა შორის, ბევრჯერ მიფიქრია, რომ დიალექტი, საკუნეებაგამორიდებული ქართული აღმატებული ლიტერატურის ძვირფასი შემადგენელი ნაწილი ნელ-ნელა გაქრება... დავკარგავთ... შიდა ქართლის ქართლური დიალექტი განადგურების, მოსპობის წინაშე დადგა, რასაც ვერასდროს ვეღარ აღვიდგენთ...

„აჰაანდეო“ და ფიქრები სად არ გამექცა... უნებურად ვუსმენდი ცოლ-ქმრის საუბარს.

– ხო, კარგი, გავიგე რო არ უნდა მშინებოდა...

კი ვუსმენდი, მაგრამ ვერ გავიგე, რისი უნდა შინებოდა კაცს, ქალს კი არა... ცნობისმოყვარეობამ თუ პროფესიონალურმა ჟინმა არ მომასვენა და ვკითხე: საიდან მოდიხართ, რისი გეშინოდა-მეთქი (მანამდე კი, როგორც ხდება: ვისი ხარ, რა გვარი ხარ, ხო ახალგორელები ხართ და ამისთანები)... მგზავრობაში გაცნობილები ხომ უცებ ვუახლოვდებით ერთმანეთს და ესენიც მიამბობდნენ /ერთმანეთსაც აღარ აცდიდნენ/, როგორი შიშით მივიდნენ კბილის ექიმთან და როგორ კარგად, თბილად, სიცილით დასრულდა ვიზიტი... მითხრეს, მარი ჩომახიძის პოლიკლინიკიდან მოვდივართო.

– თქვენ ქალბატონი ანა არა ხართო? – ქალმა...

კაცმა თვალები გადაუბრიალა – გაჩერდი, მეტიჩარა ნუ ხარო...

– ემანდაო, კი არ დაწეროთ გაზეთშიო...

აუცილებლად დავწერ-მეთქი და დიდუბის სადგურშიც მივედით... დავემშვიდობეთ ერთმანეთს თბილად, ახალგორულად... სახლისკენ წამოსულს ერთი აღმოსავლური ზღაპარი გამახსენდა... მეფემ ნაზირ-ვეზირებით სოფლად ჩამოიარა. კაცის ხმა შემოესმა, – ტიროდა, მოთქვამდა, საზარელ ხმას გამოსცემდა. კაცი აფრინა, გაიგე, რა სჭირსო და მოსულმა როცა უპასუხა, კბილი სტკივაო, – მე მეგონა თვალნი გამოითხარაო, მეფემ... ვის არ გამოუცდია კბილის ტკივილი ან სტომატოლოგის სავარძელზე შიში და სურვილი უკან გაქცევისა...

მკურნალობა მაღალპროფესიულ დონეზე ერთია და შიშის განქარვება მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი...

ჩვენი საუბარი ექიმ-სტომატოლოგ მარი ჩომახიძესთან სწორედ ამით დაიწყო...

– შიშს, ნეგატიურ გრძნობას ყოველთვის სძლევს სითბო, ყურადღება, პოზიტივი... პროფესიულ შიშს, ამ შემთხვევაში სტომატოლოგთან მისვლის განცდას მხოლოდ პროფესიონალიზმი და სწორი, გულისხმიერი კომუნიკაცია შველის. ამას ყოველთვის გრძნობს პაციენტი...

– რამდენი ხანია, რაც „შპს მარი ჩომახიძის“ გენერალური დირექტორი ხართ? ექიმობა თქვენი საყვარელი პროფესიაა თუ კომფორტი და სავალდებულო სამსახური?..

– დავიწყებ იქიდან, რომ როცა 2008 წლის ომის შემდეგ ახალგორი დავტოვეთ, სწორედ იმ წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და წეროვნის დევნილთა დასახლებაში მოგვცეს ბინა... როგორც კოტეჯის კართან მივედი, მაშინ გადავწყვიტე, რომ აქ ამეშენებინა პოლიკლინიკა და ჩემს ხალხს მოვმსახურებოდი, როგორც კვალიფიციური ექიმი... წლები გავიდა... პატარა შვილები, ოჯახი თავისას მოითხოვდა, მაგრამ ეს ოცნება მაინც ავისრულე. მართლაც,'„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.'უკვე ორი წელია, ვმუშაობთ და როგორ ვმუშაობთ, ამაზე ჩვენს პაციენტებს ჰკითხეთ...

– აუცილებლად... მაგრამ მითხარი, რა გზა გაიარე აქამდე, როგორც ექიმმა...

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დავამთავრე. რეზიდენტურა თერაპიული განხრით გავიარე. ეს იყო დიპლომის შემდგომი განვითარების სახელმწიფო სამედიცინო აკადემია. 17 წელია, ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები... კვალიფიკაცია და გამოცდილება თბილისის პრესტიჟულ კლინიკებში გავიარე და დადგა ის სანტრელი დრო, რომ ჩემს ახალგორელებთან დავბრუნდი. მე ვფიქრობ, რასაც მიზნად დაისახავს ადამიანი და მის მისაღწევად, შრომას, მუდმივ განვითარებას, ადამიანურ თუ პროფესიულ რესურსსაც სწორად გამოიყენებს, ყველაფერი მიღწევადია. პოლიკლინიკის მშენებლობის დროს გვერდით მედგა ჩემი მეუღლე ოთარ ვერძეული. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს...

– მეუღლეც ექიმია?

– არა, უბრალოდ, იცოდა ჩემი ამ დიდი სურვილის შესახებ და გვერდით დამიდგა.

– შვილები...

– ორი მყავს. სანდრო სტუდენტია, ლიზი აბიტურიენტია და ჩემი კოლეგა უნდა იყოს... მეც ხელს ვუწყობ...

– პოლიკლინიკა...

– ყველაფერი თანამედროვე მოთხოვნის დონეზე გვაქვს. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ყველა ექიმი თავისი

საქმის პროფესიონალია, კარგი გუნდი ვართ, აბსოლუტურად ყველანაირ სტომატოლოგიურ მომსახურებას ვუწევთ პაციენტს. გვყავს ბავშვთა და მოზარდთა ქირურგი, თერაპევტი, ორთოდონტი, რენტგენოლოგი და ასე შემდეგ. არ მინდა რეკლამასავით გამომივიდეს... არა მგონია, ამ ორი წლის მანძილზე ვინმე უკმაყოფილო წასულიყო სახლისკენ. სხვათა შორის, ფასებიც მომსახურებისა ხელმისაწვდომია, თბილისთან შედარებითაც უფრო დაბალია.

ექიმობა, სტომატოლოგობა, ბავშობიდან მინდოდა ძალიან და ოცნების ასრულების შემდეგ იმდენად მაქვს სისხლში და გონებაში გამჯდარი, რომ ჩემზეა დამოკიდებული ადამიანის ტკივილის დაყუჩება, საღი, თბილი, პოზიტიური მიდგომა პაციენტთან, თითქოს ამისთვის ვარ გაჩენილი და დაბადებული... ჩემი საქმით არასდროს ვიღლები, არასდროს დამიწუწუნია /იცინის/. ყოველთვის ვეცნობი და ვსწავლობ სიახლეებს, ვნერგავთ მუშაობაშიც... ასე რომ ექიმობა ჩემთვის სასიამოვნოც არის, მორალური პასუხისმგებლობაც, ასე ვთქვათ, ბედნიერებაც...

– პოლიკლინიკის იქით, შენი საქმის იქით რა გიყვარს?

– იქით არა, ჩემთვის პრიორიტეტი ოჯახია. მიყვარს ოჯახი, ქმარ-შვილი, კერვა მიყვარს თავისუფალ დროს, ბევრი სამოსი ჩემი ხელით მაქვს შეკერილი...

– რა გახარებს?

– შვილების წარმატებები, პაციენტის ღიმილიანი მადლიერება, კმაყოფილი პაციენტები...

– შენი ცხოვრების მთავარი შტრიხი...

– მოვალეობის შეგრძნების უზენაესობა, მოვალეობა დედის, მეუღლის, ექიმის, ხელმძღვანელის... დის მიმართ... ერთი დაიკო მყავს, ნინო, სამი ვაჟკაცის დედაა და ფიქრი სულ მისკენ გამირბის... მოვალეობა შვილის... გულში ცრემლი მეღვრება ხოლმე, მამას საფლავზე რომ ვერ ავდივარ... მოვალეობა ახალგორელის, მეამაყება, ახალგორელი რომ ვარ. ჩვენი ახალგორიდანაც რომ მოდიან პაციენტები, როცა გამოსვლის ნებართვა აქვთ, ამ ბოლო ხანებში თვის გარკვეულ დროს გამოდიან, ჯერ უნდა მოვეფერო, ახალგორის სურნელი შევიგრძნო... ჩემს კოლეგებს ეღიმებათ ხოლმე,

– ბოლოს...

– ბოლოს ნატვრა ალბათ... ოღონდ დავბრუნდეთ ჩვენს ქსნის ხეობაში და იქაც დიდი სიამოვნებით ავაშენებ (ან აშენებული რაც არის, იქ ვიმუშავებ... ახალგორის საავდმყოფოში დედამ 60 წელზე მეტი იმუშვა საოპერაციო განყოფილების ექთნად) პოლიკლინიკას და ასმაგი ენერგიით ვიმუშავებ.

ყველას მშვიდობას, სიკეთეს ვუსურვებ... ჩემს ახალგორელებს და ყველა ქალს დედის დღეს მივულოცავ...

ახალგორელებმა საქართველოს პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს

2024 წლის 25 თებერვალს ქ. თბილისში ჩატარდა სარეიტინგო ტურნირი №1 (საქართველოს პირველობა) ჭიდაობა ძიუდოში 2010-2011 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ახალგორის სასპორტო სკოლიდან საქართველოს პრიზიორები გახდნენ: დათა

ბერუაშვილი (73 კგ. წონით კატეგორია. მეორე საპრიზო ადგილი. ვერცხლის მედალი. მწვრთნელები: დავით ოდიშვილი, ვაჟა კაკილაშვილი) და თემო მილაძე (66 კგ. წონითი კატეგორია. მესამე საპრიზო ადგილი. ბრინჯაოს მედალი. მწვრთნელები: დავით ილურიძე, გიორგი ფიცხელაური).

ვულოცავთ მათ ამ გამარჯვებას და კიდევ მეტ წარმატებას ვუსურვებთ მომავალში!

ახალგორის გამგეობის ქუთვნილი ავტომანქანა აუქციონზე გაიყიდა

როგორც ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურიდან გვაცნობეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე www eauction.ge 2024 წლის 15 თებერვალს მოწყობილ N105643 აუქციონზე 9996 (ცხრა ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარად გაიყიდა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება სედანი ,,FORD TAURUS FWD INTERCEPTOR", გამოშვებული 2014 წელს, ფერი რუხი 5/8. საიდენტიფიკაციო ნომერი IFAHP2L99FG124603, სარეგისტრაციო ნომერი AM4766301. სახელმწიფო ნომერი DV-733-VD (ლოტი N958347).

აღნიშნული თანხა სრულად გადაირიცხება ახალგორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

15 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ – ᲛᲘᲠᲥᲛᲐ-ᲛᲘᲒᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

მირქმა-მიგებების დღესასწაული ეს არის დიდი ზეიმი, - კაცობრიობის მხსნელის დაბადების შესახებ ტაძარში გაცხადებული პირველი მოწმობა.

როგორც ცნობილია, ტაძარში მიყვანილ ახლადშობილ იესოს 40-ე დღეს მიეგება ძველი აღთქმის ერთ-ერთი რჩეული მსახური, - ღრმად მოხუცებულ წმინდა სვიმეონ წინასწარმეტყველი. მართალ სვიმეონს ნაუწყები ჰქონდა სულიწმიდისაგან, რომ არ აღესრულებოდა, ვიდრე მესიას არ იხილავდა; და, აი, მათი შეხვედრით დასრულდა მაცხოვრის მოვლინების მრავალათასწლიანი მოლოდინი, ანუ ძველი აღთქმის პერიოდი და სათავე დაედო ახალი აღთქმის ეპოქას.

ამიტომაც ეს ზეიმი დადასტურებაა იმისა, რომ „ბნელი იგი განგვეშორა და დღე შემოგვეახლა, „რომ მთელ მსოფლიოს უფლის ნათელი მოეფინა და გაიხსნა გზა ცათა სასუფევლისა. ამიტომაც არის „მირქმა“ სინათლისა და სიხარულის დღესასწაული და ამ დღეს ამიტომაც იკურთხება სანთლები.

ადრე იგი უფრო გამორჩეულად აღინიშნებოდა ყველგან, - იერუსალიმის ეკლესიაშიც და სხვა ეკლესიებშიც. კერძოდ, სადღესასწაულო მსახურების ბოლოს სასულიერო პირები სანთლებს აკურთხებდნენ და ანთებული სანთლებით, ხატებითა და ბაირაღებით ხალხთან ერთად ლიტანიობით მსვლელობას აწყობდნენ.

ამას ადასტურებენ წმ. კირილე ალექსანდრიელი (+444), სოფრონ იერუსალიმელი (634-638), კირილე სკვითოპოლელი (+557), სილვია აკვიტანელი (IV ს) და სხვანი.

ეს წესი საქართველოშიც მოქმედებდა. შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო, იგი დავიწყებას მიეცა და, ძირიადად, ხალხურმა მეხსიერებამ შემოგვინახა „ლამპრობის“ სახელწოდებით.

„ლამპრობის“ ხალხური წესი შემორჩენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სვანეთში, მთიულეთში, გუდამაყარში, ფშავში, ხევსურეთში, ხევში, გურიაში, იმერეთში... სრულიდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II კურთხევით, ჩვენთან უკვე რამდენიმე წელია მირქმა ძველ საღვთისმსახურო წიგნთა მონაცემების და სვანეთში დაცული ძველი წესის,– „ლამპრობის,“ იგივე „სვიმნიშობის“ (წმინდა სვიმეონ მიმრქმელის დღის) გათვალისწინებით აღინიშნება.

სვანეთში შემორჩენილი ერთ-ერთი ტრადიციით საეკლესიო მსახურების შემდეგ ბავშვების გუნდი ანთებული სანთლებით მაცხოვრის დიდებით და სვიმეონ მიმრქმელისადმი ლოცვით დადიან მთელ სოფელში. თითოეული ოჯახიდან მათ შესახვედრად, ასევე, ანთებული სანთლით გამოდის ოჯახის უფროსი. ბავშვები, (რომლებიც სიმბოლურად განასახიერებენ მაცხოვარს) ლოცავენ მას და შემდეგ ოჯახის უფროსიც (რომელიც, ასევე, სიმბოლურად განასახიერებს სვიმეონ მიმრქმელს) ლოცავს მათ. შემდეგ რომელიმე ბავშვი ანთებულ სანთელს აწვდის ოჯახის უფროსს და ისიც თავის სანთელს გადასცემს ბავშვს, რაც სიმბოლოა ძველი და ახალი აღთქმის, - ყრმა იესოს და წმ. სვიმონ მიმრქმელის შეხვედრისა.

სვანეთში ამ დღეს მიდიან სასაფლაოზეც, რათა მიცვალებულებსაც ახარონ უფლის განკაცება.

ასე რომ, მირქმის დღესასწაულზე, - საზეიმო ლოცვის ან წირვის შემდეგ, - მისი უწმინდესობის მიერ აღდგენილი წესით უნდა მოხდეს სანთლების კურთხევა, მერე კი ანთებული ნაკურთხისანთლებითა და ბაირაღებით ტაძრისა და მიმდებარე ტერიტორიების გარშემოვლა. სასურველია, სასულიერო პირები ბავშვებთან და მრევლთან ერთად ოჯახებშიც მივიდნენ; ბავშვებს დაალოცინონ ოჯახის უფროსი და პირიქით, ოჯახის უფროსმა, - მასთან მისულნი და გაცვალონ სანთლები; ასევე, სასურველია, მირქმის დღეს ყოველ ოჯახში ბავშვებმა დალოცონ მშობლები და მშობლებმაც შვილები და ერთმანეთში გაცვალონ ანთებული ნაკურთხი სანთლები, დალოცონ ოჯახის წევრები, ახლობლები, სამშობლო და მოიგონონ გარდაცვლილი წინაპრები.

22 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ – ᲜᲐᲬᲘᲚᲗᲐ ᲐᲦᲛᲝᲧᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲦᲘᲠᲡᲘᲡᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲡᲐᲚᲝᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲡᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ



საეკლესიო კალენდრის მიხედვით 22 თებერვალს აღინიშნება ნაწილთა აღმოყვანება ღირსისა გაბრიელ სალოსისა და აღმსარებელისა.

2012 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით, არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე) წმიდანად შეირაცხა, ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელისა სალოსის სახელით.

მამა გაბრიელის საფლავი 2014 წლის 22 თებერვალს გაიხსნა. წმინდა ნაწილები სამთავროს წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის ფერისცვალების ტაძარში გადაასვენეს, სადაც მღვდელმთავრებმა და სხვა სასულიერო პირებმა პარაკლისი გადაიხადეს.

2014 წლის 24 თებერვალს, ღირსი მამაგაბრიელის წმიდა ნაწილები სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრიდან თბილისში, ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში გადააბრძანეს, სადაც მრევლს საშუალება ჰქონდა მოელოცა წმინდა ნაწილები.

2015 წლის 29 ნოემბერს, სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში, ღირსი მამა გაბრიელის წმიდა ნაწილები ჩაბრძანებულ

სარა დემეტრაშვილის ხსოვნას

96 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქალბატონი სარა დემეტრაშვილი, რომელმაც თავისი ცხოვრების წესით, სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამსახურებში გამოჩენილი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერების შედეგად ნათელი კვალი დატოვა ახალგორის რაიონის ისტორიაში.

სარა დემეტრაშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა ახალგორის სახალხო სასამართლოს მოსამართლედ, ასევე, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ახალგორის აღმასკომის საპენსიო გამყოფილებას.

ქალური კდემამოსილებით და მშვენიერებით შემკული, ერთი შეხედვით ნაზი ქალბატონი გამოირჩეოდა ძლიერი, მტკიცე, პრინციპული ხასიათით, მაღალი პროფესიონალიზმით, ამასთან – მოყვასის სიყვარულით და გულისხმიერებით.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ინტელექტს, თვითონაც ასეთი გახლდათ და ახალგორელებს თავი დაგვამახსოვრა, როგორც საზოგადოების ღირსეულმა წევრმა, სამი შვილის დედამ, გულთბილმა მეგობარმა, რომელიც მხცოვან ასაკშიც არ ივიწყებდა ადამიანებთან კეთილი ურთიერთობის აუცილებლობას და მნიშვნელობას. მისი ხსოვნა მარადიულია

იქნა ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან სპეციალურად მოწყობილ ქვის ლუსკუმაში.

ა.წ. 22 თებერვალს 10 წელი შესრულდა ღირსი მამის, გაბრიელ აღმსარებელისა და სალოსის წმინდა ნაწილთა აღმოყვანებიდან.

მეოხებითა ღირსისა მამისა გაბრიელ სალოსისა და აღმსარებლისა, ქრისტე ღმერთო, დაამშვიდე ცხოვრება ჩვენი და აცხოვნე სულნი ჩვენი. ამინ.

ნუგზარ ფსუტურის გახსენება



ზოგჯერ სიკვდილი უკვდავებას ანიჭებს ღმერთის შემოქმედს და ისინი, უკვდავებასთან წილნაყარნი, თითქოს ისევ ჩვენ გვერდით არიან, მათი სიახლოვე ისევ გვახარებს, თითქოს გლოვას გვარიდებს, ჩაგვაფიქრებს და ულამაზეს მოგონებებს გვიღვიძებს, „ზოგი მოგონება რომ ფრთხიალებს, ზოგი დაჭრილივით ბღავის, ზოგიც ყვავილივით იალებს და კუბოს ფიცრამდე ჰყვავის“...

როცა ნუგზარ ფსუტურის ხმა სოციალური ქსელის ან წარსულის კონცერტების ჩანაწერებიდან ისმის, ტკივილნარევი სიხარული, სევდანარევი სიამაყე გვიპყობს არამარტო ახალგორელებს, არამედ ყველა ხალხური, ფოლკლორული და პოლიფონიური მუსიკის მოყვარულთ... ან მოიძებნება ისეთი ქართველი, ფოლკლორი რომ არ ჰქონდეს სულში გამჯდარი?...

ნუგზარ ფსუტური მღეროდა, როგორც მაღალი დონის შემსრულებელი, წერდა ტექსტებს სიმღერისათვის და ჰქმნიდა მელოდიას, მუსიკას...

მხოლოდ „ლალე“ რომ ემღერა და სხვა არაფერი, მხოლოდ თავისი ბულბულა ხმით რომ გადმოეცა აღმატებული გრძნობა „ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი გენაცვალეო“, მაინც შემორჩებოდა ისტორიას, რადგანაც მაინც შემოევლო თავის სამშობლოს... 2008 წლის ომმა დაღი დაატყო, ხმა და გული გაუბზარა, ვერ მოერია თავს, ვერ მოერია ჯავრს და წავიდა ამ ქვეყნიდან.... წავიდა და უკვდავებად იქცა.

წელს, 17 თებერვალს, 12 წელი შესრულდა, რაც სამზეოზე აღარ არის, მისი შემოქმედება, მისი სიმღერა კი მარად უკვდავია...

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლები უსამძიმრებენ მედეა დემეტრაშვილს დედის

სარა დემეტრაშვილის

გარდაცვალების გამო.

მალხაზ დავითური და თამარ გურასპაშვილი ოჯახით უსამძიმრებენ მედეა დემეტრაშვილს დედის

სარა დემეტრაშვილის

გარდაცვალებას.

ახალგორის მუნიციპალიტეტის იკოთის საშუალო სკოლის პედაგოგები და ტექნიკური პერსონალი უსამძიმრებენ ამავე სკოლის თანამშრომლებს ალიკა დურგლიშვილს და ნესტან ჩოხელს – მამისა და მამამთილის, მარიამ, გიორგი და საბა დურგლიშვილებს საყვარელი პაპის

გურამ დურგლიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეგობრები მწუხარებას და გულისტკივილს გამოხატავენ

ზაზა ზანგურის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეგობრები მწუხარებას და გულისტკივილს გამოხატავენ

მამუკა გათენაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნატალი კასრაძე და ლიზი გოჭაშვილი ერთი წლით ამერიკის შეერთებულ შტატებში ისწავლიან



ბუქმობილის გამორჩეულად აქტიური, მიზანდასახული და შრომისმოყვარე წევრები, წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეები ნატალი კასრაძე და ლიზი გოჭაშვილი, მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX) ფინალისტები გახდნენ და ერთი წლით ამერიკის შეერთებულ შტატებში ისწავლიან.

ჩვენი გაზეთის რედაქცია ულოცავს ნატალის და ლიზის ლიდერთა გაცვლითი პროგრამის ფინალისტობას.

რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ნატალის.

– ლიდერთა გაცვლით პროგრამაში საქართველოს მასშტაბით 2000 მოსწავლე მონაწილეობდა... ჩვენი, დევნილთა დასახლებებიდანაც ბევრი... როგორ მიაღწიეთ ამ გამარჯვებას?

– დავიწყებ იქიდან, რომ ამ კონკურსის შესახებ ბუქმობილიდან შევიტყეთ... აპლიკაცია შევავსეთ, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრათ, მაინცდამაინც არაფრის იმედი არ მქონდა მე, პირადად, თუმცა, ამერიკის საელჩოდან მაცნობეს რომ მეორე ეტაპზე ვიყავი გადასული. მეორე ეტაპზე იყო შესარჩევი კონკურსი, რაც გამოიხატებდა გასაუბრებაში, ესეს დაწერაში, ტარდებოდა აგრეთვე ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდა... ვღელავდი ძალიან და უკვე ფინალზე ვიყავი ორიენტირებული... ასეც მოხდა – გავხდი ფინალისტი, ესეც ამერიკის საელჩოდან მაცნობეს...

– ყოველი წარმატება განპირობებულია...

– რა თქმა უნდა, შრომისმოყვარეობით, მეცადინეობით და იმ საქმის დიდი სიყვარულით, რის გაკეთებასაც აპირებ...

– მართალი ხარ. თქვენს ასაკში ჩემი აზრით კიდევ მნიშვნელოვანია პედაგოგი...

– გეთანხმებით... მე ინგლისურ ენას მასწავლის ფერიდე გაგოევა და ძალიან მადლიერი ვარ მისი... ჩემი წარმატების დიდი ნაწილიც ინგლისური ენის ცოდნაზე იყო დამოკიდებული...

– ფინალისტობით რას მიაღწიე, უფრო ნათლად რომ ავუხსნათ მკითხველს...

– ფინალისტობა ნიშნავს, რომ 1 წელი გაცვლითი პროგრამით ვისწავლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც ძალიან სასიამოვნო დასა სიხარულია ჩემთვის.

– ნატალი, რომელ კლასში ხარ და როდის მიემგზავრები ამერიკის შეერთებულ შტატებში?

– მეთერთმეტე კლასში ვარ და ამერიკაში წავალ აგვისტოში, ანუ როცა მეთორმეტე კლასში გადავალ...

– დამოუკიდებელი ხარ?

– ჯერ არ ვიცი... გვითხრეს, რომ აგვისტომდე მოვისმენთ ლექციებს, შეხვედრები გვექნება სხვადსხვა დონეზე, სადაც აგვიხსნიან და გაგვესაუბრებიან, როგორ უნდა ვიცხოვროთ ამ შორეულ ქვეყანაში 1 წელი.

– მაინც როგორ წარმოგიდგენია?

– ჩასვლისთანავე იქ დაგვხვდება ოჯახი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს საყოფაცხოვრებო პირობებს.

– შენთან ერთად გაიმარჯვა ლიზი გოჭაშვილმა... როგორი გოგოა ლიზი?

– პირველ რიგში, უნდა ვთქვა, რომ ძალიან გამიხარდა ლიზის გამარჯვება. ერთად შევავსეთ აპლიკაცია, ერთად გავიმარჯვეთ, ერთად წავალთ და ერთად ვისწავლით! ამაზე უკეთესი რა უნდა მომხდარიყო. ლიზი არის ძალიან საყვარელი, თბილი, ჭკვიანი, კომუნიკაბელური... ძალიან მიყვარს...

– ძალიან კარგი... მომავალი პროფესიის არჩევანი...

– ჯერ არ გამიკეთებია... ვფიქრობ, ამერიკაში სწავლის პერიოდში უფრო კარგად ჩამოვყალიბდები და როცა დავბრუნდები, უკვე გადაწყვეტილი მექნება...

– ნატალი, სადაური ხარ?

– ქემერტიდან ვარ, მაგრამ იქაურობა არ მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი 2008 წლის ომის დროს... მხოლოდ იმ დასკვნამდე მივდივარ, როცა ჩემს მშობლიურ სოფელზე ვფიქრობ, რომ ამ ქვეყნად ყველაზე საშინელება ომია.... ჩემი მშობლების თაობა დათრგუნული და სევდიანია, აქეთ რომ ვცხოვრობთ... ჩემზე უმცროსი და-ძმაც მყავს...

დიდი ოჯახი ვართ... აქაურობა მიყვარს... აქ გავიზარდე, ბევრი მეგობარი მყავს, მაინც ჩემი ყველაზე დიდი სურვილი ჩვენს სახლში დაბრუნებაა, ყველა ჩემი მეგობრის დაბრუნება თავის მამაპაპურ სახლში... ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ეს დროც დადგება...

იცით თუ არა, რომ...

ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ჩვენს კალენდარს ერთი ზედმეტი დღე ემატება. ასეთ წელს კი ნაკიანი ეწოდება. ნაკიანია წლევანდელი წელიც – 2024.

მე-16 საუკუნეში დანერგილი კალენდრის თანახმად, 1 წელი 365 დღისგან შედგება. თუმცა ამ ციფრს მიღმა, ყოველ წელს ზედმეტი 5 საათი, 48 წუთი და 46 წამი რჩება. ოთხი წლის განმავლობაში კი ეს დრო იკრიბება და ერთ დღე-ღამედ ყალიბდება, რათა ჩვენი და მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის დრო ერთმანეთს დაემთხვეს (როგორც ცნობილია, დედამიწა მზის გარშემო სრული ციკლის შესრულებას 365, 2422 დღეს ანდომებს).